საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია
ADMINISTRATION OF THE GOVERNMENT OF GEORGIA



USAID
ამერიკელი ხალხისგან

ევროკავშირი
საქართველოსთვის

# ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ 2017

# 2017 წლის წლიური ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ

## საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია

დონორების კოორდინაციის სამსახური
0114, თბილისი, საქართველო, ინგოროყვას 7
ტელ.: (+995 32) 299 09 00
dcu@gov.ge
www.eaims.ge
www.gov.ge



*განცხადება:*
*„ანგარიშში გამოთქმული შეხედულებები არ გამოხატავს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID), დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) ან ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის შეხედულებებს“.*

*განცხადება:*
*„ეს ანგარიში შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხის-მგებელია საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია და არ ნიშნავს, რომ იგი ასახავს ევროკავშირის შეხედულებებს“.*

# სარჩევი

დიაგრამებისა და ცხრილების ჩამონათვალი ........ 3
აკრონიმების ჩამონათვალი........ 4
პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა ........ 6
მოკლე მიმოხილვა........ 7
შესავალი – მიზანი და მეთოდოლოგია ........ 9
თავი 1. მთლიანი სურათი: მოკლედ დახმარების შესახებ ........ 11
თავი 2. დახმარება თემატური სფეროების მიხედვით ........ 17
ეკონომიკური ზრდა ........ 17
ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება ........ 21
სოციალური დახმარება და ადამიანური კაპიტალის განვითარება........ 23
დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება ........ 24
სხვა დახმარების ნაკადები........ 27
თავი 3. 2015-2017 წლების შეფასება........ 30
დანართი 1 ........ 33
დანართი 2 ........ 37
დანართი 3 ........ 38
დანართი 4 ........ 39
დანართი 5 ........ 40

## დიაგრამებისა და ცხრილების ჩამონათვალი

დიაგრამა 1. დახმარებისა მოცულობა 2015-2017 წლებში ... 7
დიაგრამა 2. ODA-ს წილი დახმარების ტიპების მიხედვით ... 8
დიაგრამა 3. გრანტებისა და სესხების მოცულობა ... 8
დიაგრამა 4. დონორების უწყვეტი ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების მთლიანი მოცულობა 2017 წელს ... 13
დიაგრამა 5. ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპების მიხედვით ... 14
დიაგრამა 6. უმსხვილესი კრედიტორები 31.12.2017-ის მდგომარეობით ... 14
დიაგრამა 7. მთლიანი დახმარება დონორებისა და თემატური ჯგუფების მიხედვით ... 16
დიაგრამა 8. ეკონომიკური ზრდის სფეროში უმსხვილესი დონორების დახმარება მოცულობის მიხედვით ... 19
დიაგრამა 9. მიმდინარე კუმულაციური დახმარება მოცულობისა და OECD-ს სექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა) ... 19
დიაგრამა 10. სოფლის მეურნეობის ქვესექტორში დახმარების წილი დონორების მიხედვით ... 20
დიაგრამა 11. დახმარების წილი ქვესექტორების მიხედვით (ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება) ... 22
დიაგრამა 12. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით ... 22
დიაგრამა 13. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით ... 24
დიაგრამა 14. დახმარების წილი განათლების სფეროში (HCD) ... 25
დიაგრამა 15. უმსხვილესი დონორები დახმარების მოცულობის მიხედვით ... 27
დიაგრამა 16. ODA 2015-2017 წლებში ... 30
დიაგრამა 17. უმსხვილესი მრავალმხრივი დონორების დახმარება მოცულობის მიხედვით 2015-2017წლებში ... 30
დიაგრამა 18. უმსხვილესი ორმხრივი დონორების დახმარება მოცულობების მიხედვით 2015-2017 წლებში ... 31
დიაგრამა 19. დახმარების ტიპები 2015-2017 ... 32
დიაგრამა 20. დახმარება თემატური ჯგუფების მიხედვით 2015-2017 წლებში ... 32
ცხრილი 1. 2017 წლის ათი უმსხვილესი დონორი მოცულობისა და წილის მიხედვით (წილი გამოთვლილია ლარში გაკეთებული კონტრიბუციით) ... 11
ცხრილი 2. ორმხრივი დონორები, რომელთა დახმარება არის მხოლოდ არაანაზღაურებადი ... 15
ცხრილი 3. დახმარების მრავალფეროვნება ... 15
ცხრილი 4. ფინანსური ასიგნებების შედარება ... 17
ცხრილი 5. უმსხვილესი დონორები ქვესექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა) ... 20
ცხრილი 6. სამი უმსხვილესი დონორი ქვესექტორების მიხედვით ... 23
ცხრილი 7. სოციალური კეთილდღეობის ქვესექტორები ... 25
ცხრილი 8. დახმარება ქვესექტორების მიხედვით ... 27
ცხრილი 9. მიმდინარე დახმარება ქვესექტორების მიხედვით ... 29
ცხრილი 10. ორმხრივი დონორები, რომლებიც დახმარებას გასცემენ მხოლოდ გრანტების სახით ... 31

## აკრონიმების ჩამონათვალი

AA – ასოცირების შეთანხმება
ADA – ავსტრიის განვითარების სააგენტო
ADB – აზიის განვითარების ბანკი
AFD – საფრანგეთის განვითარების სააგენტო (Agence Française de Développement)
AGWP – მთავრობის წლიური სამუშაო გეგმა
AIIB – აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი
AoG – მთავრობის ადმინისტრაცია
BAU – ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივი რეჟიმი
BDD – ძირითადი მონაცემები და მიმართულებები
CoE – ევროპის საბჭო
CRS – კრედიტორების ანგარიშვალდებულების სისტემა
CRPD – გაერთიანებული ერების კონვენცია უნარშეზღუდული ადამიანების უფლებების შესახებ
DAC – განვითარების დახმარების კომიტეტი
DCFTA – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის ზონა
DCU – დონორთა კოორდინაციის სამმართველო
eAIMS – დახმარების შესახებ ინფორმაციის მართვის ელექტრონული სისტემა
EBRD – ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
EG – ეკონომიკური ზრდა
EIB – ევროპის საინვესტიციო ბანკი
ENPARD – სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამა
EU – ევროკავშირი
Eur – ევრო
GDP – მთლიანი შიდა პროდუქტი
GEF – გლობალური ეკოლოგიური მექანიზმი
GEL – ქართული ლარი
GG – დემოკრატიული მმართველობა
GHG – სასათბურე გაზები
GoG – საქართველოს მთავრობა
HCD – ადამიანური კაპიტალის განვითარება
IDA – საერთაშორისო განვითარების ასოციაცია
IFC – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
IFIs – საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები
IMF – საერთაშორისო სავალუტო ფონდი
INDC - ეროვნულ დონეზე განსაზღვრული კონტრიბუცია

IOM – მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია

KfW – საკრედიტო ინსტიტუტი აღმშენებლობისთვის

LEPL – საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ)

NATO – ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაცია

NBSAP - ბიომრავალფეროვნების ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა

ODA – განვითარების ოფიციალური დახმარება

OECD – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია

PA – სახელმწიფო მართვა

PAR – საჯარო მმართველობის რეფორმა

PFM – საჯარო ფინანსების მართვა

PLN – პოლონური ზლოტი

RDP – რეგიონული განვითარების პროგრამა

RLJ – კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება

SDC – შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

SDG – მდგრადი განვითარების მიზნები

SEK – შვედური კრონა

Sida – შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო

SMEs – მცირე და საშუალო ზომის საწარმოები

SNR – ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება (გარემოსთვის ზიანის მიყენების გარეშე)

SWD – თანამშრომლების სამუშაო დოკუმენტი

TA – ტექნიკური დახმარება

TSA – მიზნობრივი სოციალური დახმარება

UK – გაერთიანებული სამეფო

UN – გაერთიანებული ერების ორგანიზაცია

UNDP – გაეროს განვითარების პროგრამა

UNFAO – გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია

UNFCCC – გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ

UNFPA – გაეროს მოსახლეობის ფონდი

UNHCR – ლტოლვილთა საკითხებში გაეროს უმაღლესი კომისარიატი

UNICEF – გაეროს ბავშვთა ფონდი

USA – ამერიკის შეერთებული შტატები

USAID – ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო

USD – აშშ დოლარი

WHO – ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია

## პრემიერ-მინისტრის წინასიტყვაობა



საქართველოსთვის 2017 წელს გაწეული საგარეო დახმარების შესახებ ანგარიში მნიშვნელოვანია ორი მიმართულებით. პირველ რიგში, ეს ანგარიში ნათლად ასახავს იმ დახმარების სრულ მასშტაბსა და მოცულობას, რომელსაც მეგობარი ქვეყნები უწევენ ქართულ სახელმწიფოს. ამავე დროს, ანგარიშში მკაფიოდ ჩანს გაწეული დახმარების სრული შესაბამისობა ჩვენი მთავრობის პრიორიტეტებთან.

საქართველოს მთავრობა თავის სტრატეგიულ დოკუმენტებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ეკონომიკის ინკლუზიურ განვითარებას, როგორც სიღარიბის დაძლევისა და მდგრადი განვითარების ეფექტიან საშუალებას. ამასთან, საქართველოს მოწინავე პოზიციები უკავია მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რაც უზრუნველყოფს ქვეყანაში სამომავლოდ დაგეგმილი წარმატებული რეფორმების მონიტორინგის შესაძლებლობას.

საჯარო მმართველობის რეფორმისა და მცირე, მაგრამ უფრო მოქნილი, მთავრობის შექმნის გზით დემოკრატიული მმართველობის განვითარება გახდება იმ რეფორმების საფუძველი, რომლებიც მოიცავს ქვეყნის განვითარების ყველა სფეროს.

სწორედ ამიტომ, ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველო იღებს მაღალ შეფასებას ბიზნესის წარმოების სიმარტივის კუთხით და ვაგრძელებთ რეფორმებს დაბეგვრისა და საბაჟო რეჟიმების მიმართულებით. ეს კერძო სექტორს მისცემს განვითარების შესაძლებლობას და, ამავე დროს, ჩვენი მოქალაქეებისთვის ღირსეული სამუშაო პირობების შეთავაზების საშუალებას. ენერგეტიკის, წყალმომარაგებისა და ტრანსპორტის სექტორებში მდგომარეობის გაუმჯობესება ხელს შეუწყობს წარმოებისა და ექსპორტის შესაძლებლობის ზრდას როგორც სოფლად მცხოვრები, ისე ქალაქის მოსახლეობისთვის. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიანი ზრდა უნდა იქცეს სიღარიბისა და უთანასწორობის აღმოფხვრის ძირითად ინსტრუმენტად.

ჩვენი ქვეყნის უმთავრესი სიმდიდრე ჩვენი ხალხის შემოქმედებითი აზროვნების უნარი და სიახლისადმი სწრაფვაა. საქართველოს მთავრობამ გარკვეულ წარმატებას მიაღწია განათლების რეფორმის კუთხით, თუმცა უფრო მეტი სიახლე გვჭირდება, რათა შეგვეძლოს ჩვენს მოსახლეობას შევთავაზოთ ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია დღევანდელი გლობალური ეკონომიკის პირობებში წარმატების მისაღწევად.

საქართველოს მთავრობის საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედია ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია. ამიტომაც ევროკავშირსა და საქართველოს შორის (2017-2020) ასოცირების დღის წესრიგი ჩვენთვის ერთგვარი გზამკვლევია ევროპული ინტეგრაციისა და ნამდვილი ევროპული ღირებულებების დამკვიდრების საქმეში.

ჩვენი უმთავრესი საზრუნავია ხალხის, თითოეული მოქალაქის კეთილდღეობა, რაც აისახება ყველა იმ რეფორმაში, რომლებსაც მთავრობა ახორციელებს. ამასთან ერთად, ჩვენ მუდმივად ვმუშაობთ საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობის გაძლიერების მიმართულებით. წინამდებარე ანგარიში სწორედ ნამდვილი პარტნიორული და თანასწორუფლებიანი თანამშრომლობის საუკეთესო მაგალითია.

*მამუკა ბახტაძე*

## მოკლე მიმოხილვა

2017 წლის წლიური ანგარიში საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ ინფორმაციას გვაწვდის საერთაშორისო პარტნიორების მიერ 2017 წელს საქართველოსთვის გაწეული დახმარების შესახებ. აღნიშნული დახმარება მთლიანობაში შეესაბამება ქვეყნის რეფორმების პრიორიტეტებს და დაყოფილია ექვს თემატურ ჯგუფად: ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება, დემოკრატიული მმართველობა, კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება.

2017 წელს მიმდინარე კუმულაციური დახმარება ოდნავ აღემატებოდა 13.9 მილიარდ ლარს, რაც აღემატება წინა ორი წლის მონაცემებს (დიაგრამა 1).




*დიაგრამა 1. დახმარების მოცულობა 2015-2017 წლებში*

აქვე უნდა აღვნიშნოთ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი:

- საინვესტიციო პროექტები და სესხები შეადგენს მთლიანი დაფინანსების დაახლოებით 75%-ს; გრანტები და ტექნიკური დახმარება – 19.3%-ს; საბიუჯეტო დახმარება (გრანტები და სესხები) – 5.7%-ს (დიაგრამა 2);
- დახმარების უდიდესი წილი მოდის „ეკონომიკური ზრდის" სხვადასხვა სფეროში განხორციელებული საინვესტიციო პროექტებისა და სესხების მეშვეობით, რომლებსაც ქვეყანაში ახორციელებენ მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუციები (იხილეთ თავი 2);
- ორმხრივი დონორების დახმარების უდიდესი წილი მოდის გრანტებსა ან/და ტექნიკურ დახმარებაზე, რაც ძირითადად კონცენტრირებულია სოციალური კეთილდღეობის, ადამიანური კაპიტალის განვითარების, დემოკრატიული მმართველობისა და კანონის უზენაესობისა და მართლმსაჯულების სფეროებში;
- მდგრადი განვითარების მიზნების განხორციელებაზე მთავრობის ვალდებულების გათვალისწინებით, შესაძლებელია, მომავალში ანგარიში დახმარებაზე უკვე ეროვნული განვითარების მიზნების საფუძველზე მომზადდეს.




*დიაგრამა 2. ODA-ს წილი დახმარების ტიპების მიხედვით*




*დიაგრამა 3. გრანტებისა და სესხების მოცულობა*[1]

1 ამ დიაგრამაზე გრანტები მოიცავს გრანტებს, ტექნიკურ დახმარებასა და ბიუჯეტის დახმარების გრანტებს; სესხები მოიცავს საინვესტიციო პროექტებსა და ბიუჯეტის დახმარების სესხებს.

## შესავალი – მიზანი და მეთოდოლოგია

ამ ანგარიშის მიზანია, გააძლიეროს მთავრობის ანგარიშვალდებულება და შეაფასოს 2017 წელს საქართველოსთვის ხელმისაწვდომი მიმდინარე კუმულაციური დახმარების[2] მთლიანი სურათი. ასევე ანგარიში მიზნად ისახავს, ერთმანეთს დაუკავშიროს მიღებული დახმარება და მთავრობის რეფორმების დღის წესრიგი და მიუსადაგოს საერთაშორისო დახმარება მდგრადი განვითარების მიზნებს, ვინაიდან საქართველოს მთავრობას აღებული აქვს ამ მიზნების მიღწევის ვალდებულება (იხილეთ 1-ელ თავში მოცემული ჩარჩო)[3].

ანგარიში ეფუძნება eAIMS მონაცემთა ბაზაში[4] არსებულ მონაცემებს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მონაცემთა ბაზას მართავს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის დონორთა კოორდინაციის განყოფილება. ბაზაში საერთაშორისო პარტნიორები საკუთარ მონაცემებს ნებაყოფლობით ავსებენ (როგორც წესი, კალენდარული წლის ბოლოს). მონაცემთა ბაზა საშუალებას აძლევს მომხმარებლებს მოიძიონ და ამოიღონ უახლესი სტატისტიკური მონაცემები დონორების, პროექტების ტიპების, ხანგრძლივობის, განმახორციელებელი პარტნიორებისა და სხვა მახასიათებლების შესახებ. ანგარიშში მოყვანილი ყველა ძირითადი მონაცემი საჯაროდ არის ხელმისაწვდომი, ხოლო რეგისტრირებულ მომხმარებლებს ანალიტიკურ და ანგარიშგების ინსტრუმენტებსაც სთავაზობს. პარტნიორების უმეტესობა თვლის, რომ სისტემა მომხმარებელზე არის მორგებული[5]. ეს ანგარიში ყურადღებას ამახვილებს ორმხრივ და მრავალმხრივ განვითარების ოფიციალურ დახმარებაზე (ODA) და იყენებს განვითარების ხელშემწყობი კომიტეტის (DAC) სტატისტიკური ანგარიშგების დირექტივებს[6]. ფინანსური მონაცემები მოიცავს 2017 წელს მიღებულ მიმდინარე კუმულაციურ დახმარებას (ODA).

ბაზაში მონაცემები ფიქსირდება იმ ვალუტაში, რომელშიც განხორციელდა დახმარება (მაგალითად, ევრო, შვედური კრონა, პოლონური ზლოტი), თუმცა ანგარიშგების მიზნებისთვის ისინი გადაყვანილია აშშ დოლარსა და ქართულ ლარში. ყველა თანხა ავტომატურად კონვერტირდება ქართულ ლარსა და აშშ დოლარში, პროგრამის ან პროექტის განხორციელების დაწყების დღეს არსებული გაცვლითი კურსით. ამ ანგარიშის მიზნებისთვის ყველა ფინანსური ნაკადი გამოსახულია ქართულ ლარში.

---

2 მიმდინარე კუმულაციური დახმარება წარმოადგენს 2017 წლის ბოლოსთვის მიმდინარე ყველა მრავალწლიანი პროექტის ბიუჯეტების ჯამს.

3 სრულ თანხმობაშია OECD-ის მიერ გაწეულ სამუშაოსთან ახალი ღონისძიების – მთლიანი ოფიციალური დახმარება მდგრადი განვითარების მიზნით (TOSSD) – შესამუშავებლად, რათა ხელი შევუწყოთ განვითარების ოფიციალური და სრული ფინანსური მხარდაჭერის უფრო მეტ გამჭვირვალობას 2030 წლების დღის წესრიგის მხარდასაჭერად იმ რესურსების ჩათვლით, რომლებიც გამოიყო მრავალმხრივი დახმარების გამწევი ინსტიტუტების, ახალი და ტრადიციული დონორების მიერ სამხრეთ-სამხრეთისა და სამკუთხა თანამშრომლობის ფარგლებში. დამატებითი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: http://oe.cd/tossd

4 სისტემა წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს სსიპ საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის კვლევებისა და სისტემების ანალიზის დეპარტამენტის, საგარეო საქმეთა ევროკავშირის დახმარების კოორდინაციის დეპარტამენტისა და საქართველოს მთავრობის ადმინსიტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის დონორთა კოორდინაციის განყოფილების ერთობლივ პროდუქტს. ეწვიეთ: www.eaims.ge.

5 ანგარიშის ავტორმა ინტერვიუ ჩამოართვა USAID-ის, ჩეხეთის საელჩოს, SIDA-ს, მსოფლიო ბანკის, SDC-ის, გერმანიის საელჩოს, გაერთიანებული სამეფოსა და ADB-ს წარმომადგენლებს.

6 http://www.oecd.org/dac/financing-sustainable-development/development-finance-standards/DCDDAC(2016)3FINAL.pdf

ეს ანგარიში მოამზადა საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის დონორთა კოორდინაციის განყოფილებამ, რათა ხელი შეუწყოს დახმარების ეფექტურობას, რაც გულისხმობს გაძლიერებულ ეროვნულ პატრონაჟს და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას, გაუმჯობესებულ ანგარიშვალდებულებას და ეფექტიანობას. დონორთა კოორდინაციის განყოფილება (DCU) არის მთავრობის ადმინისტრაციის ერთეული, რომლის მანდატია დახმარების კოორდინაციის უფრო ეფექტიანი მექანიზმებისა და საქმიანობების განხორციელება, რაც შეთანხმებული იქნება დონორ პარტნიორებთან.

ანგარიში შედგება სამი ძირითადი თავისგან. პირველი თავი ეხმარება მკითხველს, დაინახოს კავშირი რეფორმის პრიორიტეტებსა და არსებულ დახმარებას შორის. ამ თავში წარმოდგენილია საქართველოსთვის გაწეული დახმარების სრული სურათი.

მე-2 თავში გაანალიზებულია მიმდინარე რეფორმების 6 თემატური ჯგუფი. აღნიშნული თავი უფრო დეტალურად აღწერს დონორების დახმარებას. ექვსი პრიორიტეტული/თემატური სფერო შეირჩა მთავრობის ადმინისტრაციის პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის დეპარტამენტის მიერ ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციის საკითხებში მათი მნიშვნელობის მიხედვით. თითოეულ პრიორიტეტულ/თემატურ სფეროს ახლავს ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) ქვესექტორების შეთანხმებული ჩამონათვალი (CRS-ის ხუთციფრიანი მიზნობრივი კოდები), რათა უზრუნველყოფილ იქნეს განვითარებაზე ორიენტირებული დახმარების სწორი კლასიფიკაცია[7]. ეს სფეროებია: ეკონომიკური ზრდა, ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, სოციალური კეთილდღეობა, ადამიანური კაპიტალის განვითარება, დემოკრატიული მმართველობა და კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება. ანგარიშში მეტი მოქნილობისთვის ზოგი სფერო გაერთიანებულია – სოციალური კეთილდღეობა და ადამიანური კაპიტალის განვითარება წარმოდგენილია ერთად; იგივე ეხება დემოკრატიულ მმართველობას, კანონის უზენაესობასა და მართლმსაჯულებას. ის დახმარება, რომლის კლასიფიცირებაც ვერ ხერხდება ამ ექვს სფეროში, შეტანილია ცალკე ჯგუფში სახელწოდებით „სხვა“.

მე-3 თავში შედარებულია 2015-2017 წლების დახმარება დონორების, ტიპებისა და თემატური ჯგუფების მიხედვით.

[7] სექტორის ჩაშლა თითოეული თემატური სფეროს მიხედვით მოცემულია 1-ელ დანართში.

# თავი 1. მთლიანი სურათი: მოკლედ დახმარების შესახებ

წინა წლების მსგავსად, 2017 წელსაც საქართველოს მთავრობა ცდილობდა, დაეჩქარებინა ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია და მიეღწია მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის.

საქართველოს მთავრობამ სრულად აიღო პასუხისმგებლობა საგარეო დახმარების კოორდინაციაზე მას შემდეგ, რაც 2015 წელს დამტკიცდა საქართველოში შემოსული საერთაშორისო დახმარების კოორდინაციის წესი[8], რომელმაც, დახმარების ეფექტიანობის საერთაშორისო პრინციპების დაცვით, შექმნა განვითარების ოფიციალურ დახმარებაზე მთავრობის საკუთრებისა და პასუხისმგებლობის განცდის, ურთიერთანგარიშვალდებულებისა და დონორების დახმარების სახელმწიფო პრიორიტეტებთან ჰარმონიზაციის გაძლიერების მექანიზმები და ინსტრუმენტები; საქართველოს მთავრობამ აიღო სრული პასუხისმგებლობა საერთაშორისო დახმარების კოორდინაციაზე. ინსტიტუციურად, პროცესს უძღვება მთავრობის ადმინისტრაციის დონორთა კოორდინაციის განყოფილება. [პროცესის] ეფექტიანობა გაიზარდა დონორთა საქმიანობის ექვსი თემატური ჯგუფის შერჩევისა და მათი საქმიანობის რაციონალიზაციის მეშვეობით, რათა მიღწეული ყოფილიყო მაქსიმალური ხარჯთეფექტურობა.

2030 წლის დღის წესრიგის ფარგლებში, საქართველომ შეიმუშავა სახელმწიფო განვითარების მიზნები, რათა შეექმნა მდგრადი განვითარების ყოვლისმომცველი ქოლგა.

2017 წელს შეიმჩნეოდა ODA-ს ზრდა წინა წლებთან შედარებით. როგორც ეს ჩანს 1-ელი ცხრილიდან, დახმარების უდიდესი წილი მრავალმხრივი დახმარების გამწევი ორგანიზაციებიდან მოდიოდა.

| დონორი | თანხა ლარში | თანხა აშშ დოლარში | წილი |
|---|---|---|---|
| ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB) | 3 638 907 991.70 GEL | 1 650 136 046.97 USD | 28% |
| აზიის განვითარების ბანკი (ADB) | 2 400 501 453.00 GEL | 1 262 965 000.00 USD | 19% |
| მსოფლიო ბანკი | 1 740 594 562.40 GEL | 873 469 680.00 USD | 13% |
| ევროკავშირი (EU) | 1 491 220 985.23 GEL | 713 427 206.78 USD | 11% |
| გერმანია | 1 002 890 015.61 GEL | 483 873 830.55 USD | 8% |
| საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია (IFC) | 904 437 816.67 GEL | 513 219 223.00 USD | 7% |
| ევროპის რეკონსრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) | 671 480 910. 00 GEL | 297 460 254.77 USD | 5% |
| ამერიკის შეერთებული შტატები | 651 168 244.90 GEL | 337 383 250.50 USD | 5% |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი | 278 160 000.00 GEL | 114 000 000.00 USD | 2% |
| შვეიცარია | 193 875 792.85 GEL | 94 506 327.82 USD | 1% |
| მთლიანობაში ათი უმსხვილესი დონორი | **12 973 237 772.36 GEL** | **6 340 440 820.39 USD** | **100%** |

*ცხრილი 1. 2017 წლის ათი უმსხვილესი დონორი მოცულობისა და წილის მიხედვით (წილი გამოთვლილია ლარში გაკეთებული კონტრიბუციით)*

[8] მთავრობის ბრძანებულება №238, 1 ივნისი, 2015.

ჩარჩო 1 – სახელმწიფო განვითარების გეგმები

2030 წლის დღის წესრიგი თავს უყრის თითოეული ქვეყნის წინაშე არსებულ რთულ გამოწვევებს. ეს გამოწვევები განსაკუთრებით ნაცნობია საქართველოსთვის. საქართველოს მთავრობამ სრულად გაითავისა მდგრადი განვითარების მიზნების კონცეფცია.

საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი ქვეყანა, რომელმაც 2016 წლის მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე წარადგინა ნებაყოფლობითი ეროვნული ანგარიში და წარმოაჩინა ქვეყნის მისწრაფება, მიაღწიოს მდგრად განვითარებას.

ამის შემდეგ, 2017 წლის მაისში შეიქმნა მდგრადი განვითარების საბჭო, რომლის მანდატი მოიცავს მიზნების ნაციონალიზაციასა და მათი შესრულების მონიტორინგის უზრუნველყოფას. საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსი და გაეროს მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში. საბჭოში ასევე წარმოდგენილია დარგობრივი სამინისტროები, დონორები, სამოქალაქო საზოგადოება და კერძო სექტორი. საბჭომ სტრატეგიული განვითარების გეგმებისა და დაკავშირებული თემატური საკითხების სტრატეგიული დაგეგმვის, ინტეგრირებული განხორციელებისა და ეფექტიანი მონიტორინგის მიზნით შექმნა ოთხი თემატური სამუშაო ჯგუფი შემდეგ საკითხებზე: ***(1) სოციალური კეთილდღეობა***, ***(2) ეკონომიკური განვითარება, (3) დემოკრატიული მმართველობა, (4) მდგრადი ენერგეტიკა და გარემოს დაცვა.***

2016 წლის დასაწყისიდან დაიწყო გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ნაციონალიზაცია. პროცესი განისაზღვრა მაღალი დონის გლობალური განაცხადის შედეგად სახელმწიფოებში არსებული შიდა გარემოებების გათვალისწინებით. ეროვნული კონტექსტიდან, გამოწვევებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე, დადგინდა სამიზნე ინდიკატორები. 2015 წლის მდგომარეობით განისაზღვრა კონკრეტული დარგების ინდიკატორები (თუმცა ზოგ შემთხვევაში მონაცემები არ იყო ხელმისაწვდომი) და 2020, 2025 და 2030 წლის მიზნები. მდგრადი განვითარების გლობალური მიზნების ნაციონალიზაციის პროცესში გათვალისწინებული იყო ევროკავშირსა და საქართველოს შორის დადებული ასოცირების შეთანხმება, საჯარო მმართველობის რეფორმის გეგმა, 2014-2020 წლების ადამიანის უფლებების დაცვის სახელმწიფო სტრატეგია და მისი სამოქმედო გეგმა და სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020.

პრიორიტეტებისა და საბიუჯეტო დაფინანსების განსაზღვრის მიზნით მთავრობა იყენებს ძალიან მნიშვნელოვან ინსტრუმენტებს: დაგეგმვის ჩარჩო დოკუმენტს – **მთავრობის წლიურ სამუშაო გეგმას (AGWP)** (1), რომელიც დაკავშირებულია სახელმწიფო ბიუჯეტის დაგეგმვის დოკუმენტთან – ***ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები* (BDD)** (2). ეს მიდგომა უზრუნველყოფს განვითარების მიზნების, სახელმწიფო/რეგიონული სტრატეგიების/პრიორიტეტებისა და საბიუჯეტო დაფინანსების ურთიერთკავშირს საშუალოვადიან მაკროეკონომიკურ ჭრილში.

ეროვნული განვითარების მიზნების მიღწევის ხარჯები ჯერ კიდევ არ არის სრულად დაანგარიშებული, თუმცა, სავარაუდოდ, საერთაშორისო თანამეგობრობის განვითარების ოფიციალური დახმარება (ODA) ამ მხრივ მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოსთვის. ინსტიტუციურად, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას ევალება შექმნას სათანადო მექანიზმები, რათა დამყარდეს კავშირი ODA-ს კონკრეტულ პროექტებსა და პროგრამებსა და ეროვნული განვითარების მიზნებს შორის (eAIMS სისტემა შესაძლოა ერთ-ერთი ასეთი მექანიზმი იყოს).

შემდეგი ანგარიშის (2018 წელს საქართველოში საგარეო დახმარების შესახებ) მომზადებისას, შესაძლებელი იქნება ოფიციალურ დახმარებაზე ანგარიშის წარდგენა მდგრადი განვითარების მიზნების მიხედვით.

ყველა წყაროდან მიღებული მიმდინარე დახმარების მთლიანი მოცულობა შეადგენს 13.9 მილიარდ ლარს (6.7 მილიარდ აშშ დოლარს). მიმდინარე დახმარების მთლიანი მონაცემები წარმოდგენილია, როგორც მრავალწლიანი საბიუჯეტო ასიგნებების ჯამი, რომელიც ასახავს დონორების მიერ საწყის ეტაპზე პროექტებისთვის გამოყოფილი ფულადი სახსრების მთლიან ოდენობას [9].

საქართველოში ორმხრივი ODA-ს უდიდესი ნაწილი ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) წევრებზე მოდის, რომლებიც შეადგენენ განვითარების ხელშემწყობ კომიტეტს (DAC)[10]. ორმხრივი დახმარების წილი საქართველოში განვითარების მიზნით მიღებული მთლიანი დახმარების 19.6%, ხოლო მრავალმხრივი დახმარების – 80.4%-ია. 2017 წელს საქართველოს ყველაზე მსხვილი ორმხრივი დონორები იყვნენ გერმანია და აშშ, რომელთა დახმარებამ 60.5%-ზე მეტი შეადგინა (გერმანია – 36.7%, აშშ – 23.9%). წინა წლების მსგავსად, ჯამური მრავალმხრივი დახმარების 82.8%-ზე მეტი მოდის ევროპის საინვესტიციო ბანკზე (EIB), აზიის განვითარების ბანკზე (ADB), მსოფლიო ბანკსა (WB) და ევროკავშირზე (EU) – შესაბამისად, 32.5%, 21.4%, 15.5% და 13.3% .




*დიაგრამა 4. დონორების უწყვეტი ორმხრივი და მრავალმხრივი დახმარების მთლიანი მოცულობა 2017 წელს*

ამ ანგარიშში წარმოდგენილი განვითარებისთვის განკუთვნილი დაფინანსება მოიცავს:

1. გრანტებს (ფულადი ან არაფულადი დახმარება, რომლის საფუძველზეც ფინანსური ვალდებულება არ წარმოიშობა); 2. ტექნიკურ დახმარებას (საქმიანობა ძირითადად მიმართულია ადამიანურ რესურსებზე/ნოუ-ჰაუს მიწოდებაზე, კადრების, ტრენინგის, კვლევებისა და დაკავშირებული საჭიროებების უზრუნველყოფაზე); 3. სესხებს (განვითარებასთან დაკავშირებული ტრანსფერები კერძო სექტორის ჩათვლით, რაც გულისხმობს სესხის გამცემისთვის დაბრუნების ვალდებულებას); 4. საბიუჯეტო დახმარებას – გრანტებს (არაანაზღაურებადი სახსრები, გადაცემული სახელმწიფო ხაზინისთვის პროგრამებისა და პროექტების დასაფინანსებლად, რომელთა მართვა ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის პროცედურების დაცვით); 5. საბიუჯეტო დახმარებას – სესხებს (ხაზინისთვის გადარიცხული სახსრები, რომელიც სამართლებრივად წარმოშობს ვალს); 6. საინვესტიციო პროექტებს (საქმიანობები, რომელთა მიზანია მიმღების ფიზიკური კაპიტალის გაზრდა[11]). მე-5 დიაგრამაზე წარმოდგენილია ათი უმსხვილესი დონორი და მათი დახმარების ტიპები. როგორც დიაგრამაზეა მოცემული, მრავალმხრივი დახმარების გამწევი დონორები ძირითადად გასცემენ სესხებს ან ახორციელებენ საინვესტიციო პროექტებს, ხოლო ორმხრივი დონორები (მაგ. გერმანია, აშშ) ძირითადად გასცემენ გრანტებს, უზრუნველყოფენ ტექნიკურ და საბიუჯეტო დახმარებებს.

---

[9] 2017 წლის 31 დეკემბრამდე დასრულებული პროექტები ამ ანგარიშში არ შედის მიმდინარე პროექტების სიაში.

[10] მიუხედავად იმისა, რომ EU არის DAC-ის სრულუფლებიანი წევრი, სტატისტიკური და ანალიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, DAC-ის პუბლიკაციებში იგი ხშირად წარმოდგენილია, როგორც მრავალმხრივი ორგანიზაცია. ეს ანგარიში ამ დიქოტომიას ასახავს.

[11] განვითარების მხარდამჭერი კომიტეტის (DAC) სტატისტიკური მონაცემების ანგარიშგების დირექტივები (OECD).




*დიაგრამა 5. ათი უმსხვილესი დონორი დახმარების ტიპების მიხედვით*

საქართველოს, როგორც საშუალოშემოსავლიანი ქვეყნის[12], სტატუსიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ ფინანსური ნაკადების ძირითად ნაწილს სესხები და საინვესტიციო პროექტები წარმოადგენს. ამავდროულად, საქართველოს მთავრობა ამ საკითხს დიდი სიფრთხილით ეკიდება, რათა უზრუნველყოს სახელმწიფო საგარეო ვალის მდგრადობა/სტაბილურობა. ამჟამად ქვეყნის საგარეო ვალი ძირითადად მიჩნეულია შეღავათიანი დაფინანსების წყაროდ ინფრასტრუქტურული საჭიროებებისა და განვითარების სხვა პრობლემური სფეროების დასაფინანსებლად. 2017 წლის ბოლოსთვის საქართველოს საგარეო ვალმა ნომინალური მშპ-ს[13] 35.3% შეადგინა. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია ათი უმსხვილესი კრედიტორი მოცულობის მიხედვით, 2017 წლის დეკემბრის ბოლოსთვის.




*დიაგრამა 6. უმსხვილესი კრედიტორები 31.12.2017-ის მდგომარეობით*

---

12 https://blogs.worldbank.org/opendata/new-country-classifications-income-level-2017-2018
13 https://mof.ge/en/4409

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბევრი ორმხრივი დონორი საკუთარი დახმარების 100%-ს გრანტების, ტექნიკური დახმარებისა და ბიუჯეტის დახმარების ფორმით ახორციელებს. ამ სახის დახმარებამ 2017 წელს 0.5 მილიარდი ლარი შეადგინა, რაც მთლიანი დახმარების დაახლოებით 4% -ია (იხ. მე-2 ცხრილი).

| დონორი | გრანტი | ტექნიკური დახმარება | საბიუჯეტო დახმარება (გრანტი) | ჯამი |
|---|---|---|---|---|
| შვეიცარია | 193 875 792.85 GEL | - GEL | - GEL | 193 875 792.85 GEL |
| შვედეთი | 155 259 540.17 GEL | 12 871 000.00 GEL | - GEL | 168 130 540.17 GEL |
| დანია | 70 267 640.00 GEL | 10 576 400.00 GEL | - GEL | 80 844 040.00 GEL |
| გაერთიანებული სამეფო | 619 687.64 GEL | 36 377 958.69 GEL | 162 237.72 GEL | 37 159 884.05 GEL |
| ჩინეთი | 34 719 400.00 GEL | - GEL | - GEL | 34 719 400.00 GEL |
| ჩეხეთის რესპუბლიკა | 25 664 045.75 GEL | 447 148.65 GEL | - GEL | 26 111 194.40 GEL |
| ნიდერლანდები | 6 914 066.47 GEL | 871 819.60 GEL | - GEL | 7 785 886.07 GEL |
| პოლონეთი | 4 998 330.76 GEL | - GEL | 431 314.28 GEL | 5 429 645.04 GEL |
| ესტონეთი | 109 327.96 GEL | 2 456 166.52 GEL | - GEL | 2 565 494.48 GEL |
| სლოვაკეთი | 834 863.38 GEL | - GEL | 92 792.32 GEL | 927 655.70 GEL |
| ბულგარეთი | 579 645.75 GEL | 327 111.31 GEL | - GEL | 906 757.06 GEL |
| რუმინეთი | 32 526.93 GEL | 160 421.37 GEL | - GEL | 192 948.30 GEL |
| ლიეტუვა | 169 666.01 GEL | - GEL | - GEL | 169 666.01 GEL |
| ჯამი | **494 044 533.67 GEL** | **64 088 026.14 GEL** | **686 344.32 GEL** | **558 818 904.13 GEL** |

*ცხრილი 2. ორმხრივი დონორები, რომელთა დახმარება არის მხოლოდ არაანაზღაურებადი*

დონორების გარკვეული ნაწილი ახორციელებს სხვადასხვა ტიპის დახმარებას, მათ შორისაა AFD – ერთადერთი ორმხრივი დონორი, რომლის დახმარება მოიცავს საბიუჯეტო დახმარებას სესხების სახით, აგრეთვე გერმანია და აშშ – ორი ორმხრივი დახმარების გამწევი დონორი, რომლებიც ასევე ახორციელებენ საინვესტიციო პროექტებს. საფრანგეთი (AFD), ავსტრია და იაპონია გასცემენ მცირე მოცულობის გრანტებს (იხ. მე-3 ცხრილი).

| დონორი | საინვესტიციო პროექტი | სესხი | გრანტი | ტექნიკური დახმარება | საბიუჯეტო დახმარება (სესხი) | საბიუჯეტო დახმარება (გრანტი) |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევროკავშირი | 41 990 000.00 GEL | - GEL | 418 234 541.98 GEL | 678 044 910.18 GEL | - GEL | 352 951 533.07 GEL |
| გერმანია | 732 328 050.00 GEL | - GEL | 116 608 551.98 GEL | 153 953 413.63 GEL | - GEL | - GEL |
| აშშ | 54 934 212.00 GEL | - GEL | 280 668 033.03 GEL | 313 945 054.86 GEL | - GEL | 1 620 945.00 GEL |
| საფრანგეთის განვითარების სააგენტო | - GEL | 31 860 840.00 GEL | - GEL | - GEL | 181 800 000.00 GEL | 1 395 000.00 GEL |
| ავსტრია/ADA | - GEL | 144 590 400.00 GEL | 11 817 760.76 GEL | 33 652 522.61 GEL | - GEL | - GEL |
| იაპონია | - GEL | 95 697 000.00 GEL | 20 364 642.78 GEL | - GEL | - GEL | - GEL |
| ევროპის საბჭო | - GEL | - GEL | 1 456 448.00 GEL | 16 799 872.25 GEL | - GEL | - GEL |
| გლობ. ეკოლ. მექანიზმი(GEF) | - GEL | - GEL | 10 055 053.38 GEL | - GEL | - GEL | - GEL |
| გაეროს სააგენტოები | - GEL | - GEL | 29 996 046.99 GEL | 11 817 208.05 GEL | - GEL | 668 981.00 GEL |
| ჩრდილო ატლანტიკ. ალიანსი | - GEL | - GEL | - GEL | 1 073 466.65 GEL | - GEL | - GEL |

*ცხრილი 3. დახმარების მრავალფეროვნება*

საქართველოს მთავრობის მიერ შერჩეული ექვსი თემატური ჯგუფი ასახულია მე-7 დიაგრამაზე და დეტალურად არის აღწერილი მე-2 თავში. თემატური სფეროები შეირჩა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური ან/და ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაციისთვის მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე. ის დახმარება, რომელიც არ ექცევა ამ ექვს თემატურ სფეროში, მოქცეულია „სხვა დახმარების“ კატეგორიაში, რომელშიც შედის მრავალსექტორული დახმარება, ვალთან დაკავშირებული საქმიანობები, ჰუმანიტარული დახმარება და საბიუჯეტო დახმარება (სექტორების საბიუჯეტო დახმარება შეტანილია შესაბამის თემატურ ჯგუფში).




*დიაგრამა 7. მთლიანი დახმარება დონორებისა და თემატური ჯგუფების მიხედვით*[14]

[14] დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 3.

# თავი 2. დახმარება თემატური სფეროების მიხედვით

ეს ანგარიში მოიცავს თემატურ ჯგუფებს მათი დახმარების მოცულობის მიხედვით. წარმოდგენილია თითოეული მიმართულებით მთავრობის მიერ გაწეული საქმიანობის მოკლე მიმოხილვა და გაწეული დახმარების ანალიზი.

როგორც მე-7 დიაგრამიდან ჩანს, ექვსი თემატური ჯგუფი თანაბრად არ ფინანსდება. 2017 წელს თემატური ჯგუფი „ეკონომიკური ზრდა“ შეადგენდა მთლიანი დახმარების 57.4%-ს, მას მოჰყვება „ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება“ 24.1%-ით. ნიშანდობლივია, რომ „ეკონომიკური ზრდის“ ზოგი ქვესექტორისკენ მიმართული დახმარება (რკინიგზა/ საგზაო ტრანსპორტი, კერძო სექტორის განვითარება) უფრო მოცულობითია, ვიდრე სხვა თემატური ჯგუფებისკენ, როგორიცაა „სოციალური კეთილდღეობა“, „დემოკრატიული მმართველობა“, „ადამიანური კაპიტალის განვითარება“ და „კანონის უზენაესობა“ (იხ. მე-4 ცხრილი).

| თემატური ჯგუფი/ ქვესექტორი | მოცულობა |
|---|---|
| სოციალური კეთილდღება | 759 793 027.77 GEL |
| დემოკრატიული მმართველობა | 747 530 670.77 GEL |
| ადამიანური კაპიტალის განვითარება | 422 276 542.91 GEL |
| კანონის უზენაესობა და მართლმსაჯულება | 327 374 415.40 GEL |
| საგზაო/ სარკინიგზო ტრანსპორტი (ეკონომიკური ზრდის ქვესექტორი) | 5 162 962 025.21 GEL |
| კერძო სექტორის განვითარება (ეკონომიკური ზრდის ქვესექტორი) | 1 939 504 922.99 GEL |

*ცხრილი 4. ფინანსური ასიგნებების შედარება*

## ეკონომიკური ზრდა

მსოფლიო ბანკის მონაცემებზე დაყრდნობით, საქართველოს ეკონომიკა ბევრად უკეთეს მდგომარეობაში იყო 2017 წელს, ვიდრე ეს წინასწარი შეფასებებით იყო ნავარაუდები. 2016 წელს მშპ არსებული 2.8%-დან 5%-მდე[15] გაიზარდა, სადაც ვაჭრობა, მშენებლობა და სატრანსპორტო სექტორი ლიდერობდა. საქონლის ექსპორტი 24%-ით გაიზარდა, ხოლო მომსახურების ექსპორტი – 20%-ით, თუმცა ყველაზე დიდი – 27%-იანი ზრდა ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებში[16] დაფიქსირდა.

2017 წლიდან მთავრობამ მიმართა საჯარო ინფრასტრუქტურის ინვესტიციების ზრდის და მიმდინარე ხარჯების შემცირების სტრატეგიას. ეს სრულ თანხმობაშია მთავრობის გრძელვადიან პრიორიტეტთან, გადააქციოს საქართველო აზიასა და ევროპას შორის სატრანსპორტო ჰაბად/ცენტრად/დერეფნად.

15 http://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3
16 http://www.doingbusiness.org/data/exploreeconomies/georgia

საქართველო კვლავ მაღალ პოზიციას ინარჩუნებს „ბიზნესის კეთების ინდექსში“, სადაც იგი მე-9[17] ადგილზე იყო 2018 წელს. ძირითადი სტრუქტურული და ინსტიტუციური რეფორმების თვალსაზრისით, ევროკავშირის მზარდი მხარდაჭერის ფარგლებში, მუშავდება ახალი პროგრამა, რომელიც მიზნად ისახავს კომერციული სამართლის გაუმჯობესებას, გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესებას, ფინანსური ინფრასტრუქტურის მოდერნიზებას, კლასტერებისა და დამატებითი ღირებულების შექმნის საწარმოო ციკლის განვითარებასა და ინკუბატორების[18] მხარდაჭერას. გარდა ამისა, კერძო ინვესტიციების სტიმულირების მიზნით, მთავრობამ ცვლილება შეიტანა საწარმოთა მოგების გადასახადში და შემოიღო განაწილებული დივიდენდების დაბეგვრა, რაც ძალაში შევიდა 2017 წლის[19] იანვრიდან. საქართველო, რომელიც თანმიმდევრულად უახლოვდება ევროკავშირის კანონმდებლობით დადგენილ ტექნიკურ რეგულაციებსა და სტანდარტებს, სულ უფრო და უფრო აძლიერებს მონაწილეობას დამატებითი ღირებულების შექმნის საერთაშორისო საწარმოო ჯაჭვში. 2017 წელს ევროკავშირი 27%-იანი წილით ქვეყნის მთლიან ვაჭრობაში, საქართველოს მნიშვნელოვანი პარტნიორი იყო (24% – მთლიან ექსპორტში და 28% – იმპორტში[20]). 2018 წლის წინასწარი მონაცემებით ეს ტენდენცია გრძელდება. ამ კონტექსტში, საქართველოს დაშვება პან-ევრო-ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების პრეფერენციული წარმოშობის წესების შესახებ რეგიონულ კონვენციაზე და ევროკავშირის ბაზრის გახსნა საქართველოში წარმოებული პროდუქტისთვის, როგორიცაა, მაგალითად, თევზი, მნიშვნელოვან წარმატებას წარმოადგენს.

2017 წლის წინასწარი მონაცემები გვიჩვენებს, რომ სოფლის მეურნეობის წილმა მშპ-ის[21] 8.2% შეადგინა[22]. 2017 წელს მთავრობამ დაამტკიცა სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის სტრატეგია და სავალდებულო სერთიფიცირებისადმი დაქვემდებარებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების გასავრცელებლად დაშვებისა და მეთესლეობის შესახებ საქართველოს კანონი. აღნიშნული სრულ თანხმობაშია საერთაშორისო სტანდარტებთან და აყალიბებს კარგ საფუძველს სათესლე მეურნეობის დასარეგულირებლად, რაც სტიმული იქნება მწარმოებლებისთვის საქართველოში თესლების საწარმოებლად და გასაყიდად. ამასთანავე, კანონი იცავს ფერმერებისა და მწარმოებლების ინტერესებს. DCFTA-დან გამომდინარე, ვაჭრობის სფეროში ახალი შესაძლებლობები ჩნდება; ამრიგად, საქართველო აგრძელებს ექსპორტის ბაზრის გაფართოებას. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მოძრაობა იზრდება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ENPARD-ის მხარდაჭერით.

**საერთაშორისო დახმარება:**

eAIMS-ის მონაცემების თანახმად, ეკონომიკური ზრდის თემატური ჯგუფი საერთაშორისო დონორების დახმარების ყველაზე მსხვილი მიმღებია და მისი დახმარების აქტიური/მიმდინარე პორტფელი 7.9 მილიარდ ლარს (მთლიანი დახმარების 57.4%) უტოლდება. ამ სექტორის უმსხვილესი დონორებია EIB, ADB და მსოფლიო ბანკი, რომლებსაც მოჰყვება EBRD, IFC, AIIB და EU.

17 EC document: Association Implementation Report on Georgia SWD (2017)
18 სავალუტო ფონდის ანგარიში (https://www.imf.org/en/Publications/CR/Issues/2018/06/28/Georgia-Selected-Issues-46037)
19 EC დოკუმენტი: ასოცირების განხორციელების ანგარიში საქართველოს შესახებ SWD (2017).
20 წინასწარი მონაცემები; საბოლოო მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება 2018 წლის 30 ნოემბერს.
21 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo
22 http://www.geostat.ge/?action=page&p_id=427&lang=geo




*დიაგრამა 8. ეკონომიკური ზრდის სფეროში უმსხვილესი დონორების დახმარება მოცულობის მიხედვით*

დახმარების განაწილება ამ სფეროში მთავრობის პრიორიტეტებს ასახავს. დახმარების უდიდესი წილი მოდის სარკინიგზო/საგზაო ტრანსპორტზე, რომლის 90% სესხის სახით ხორციელდება მრავალმხრივი დონორების მიერ – EIB (47%), ADB (27%) და მსოფლიო ბანკი (16%). ასევე ეკონომიკური ზრდის სფეროში თითქმის 1.9 მილიარდი ლარი კერძო სექტორზე მოდის და ხორციელდება ფინანსური შუამავლებისთვის (IFC, US) გაწეული დახმარების, ტრენინგებისა და უნარ-ჩვევების გაძლიერების მეშვეობით (შვედეთი, გერმანია).




*დიაგრამა 9. მიმდინარე კუმულაციური დახმარება მოცულობისა და OECD-ს სექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა)*

| დონორი | საგზაო/ სარკინიგზო ტრანსპორტი | კერძო სექტორის განვითარება | სოფლის მეურნეობის განვითარება |
|---|---|---|---|
| ევროპის საინვესტიციო ბანკი | 2 441 551 400.00 GEL | 422 240 066.70 GEL | - GEL |
| აზიის განვითარების ბანკი | 1 372 023 850.00 GEL | 3 084 170.00 GEL | - GEL |
| მსოფლიო ბანკი | 807 824 000.00 GEL | 217 998 600.00 GEL | 86 830 000.00 GEL |
| ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი | 70 656 940.00 GEL | 299 493 200.00 GEL | 37 559 530.00 GEL |
| საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია | - GEL | 526 958 348.88 GEL | 5 838 700.00 GEL |
| ევროკავშირი | 87 923 075.89 GEL | 16 474 404.18 GEL | 121 499 945.15 GEL |
| აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკი | 278 160 000.00 GEL | - GEL | - GEL |
| სხვა ორმხრივი | 104 822 759.32 GEL | 453 256 133.23 GEL | 252 940 319.44 GEL |
| გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაცია | - GEL | - GEL | 378 974.32 GEL |
| **ჯამი** | **5 162 962 025.21 GEL** | **1 939 504 922.99 GEL** | **505 047 468.91 GEL** |

*ცხრილი 5.უმსხვილესი დონორები ქვესექტორების მიხედვით (ეკონომიკური ზრდა)*

სასოფლო-სამეურნეო სექტორის დახმარება შეადგენს დაახლოებით ნახევარ მილიარდ ლარს და ამ სფეროში პირველ ადგილზეა ევროკავშირი და მსოფლიო ბანკი.




*დიაგრამა 10. სოფლის მეურნეობის ქვესექტორში დახმარების წილი დონორების მიხედვით*

## ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება

ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენების სფეროს ფარგლებში საქართველოს მთავრობას [ერთდროულად] ორი მიზანი აქვს: ეკონომიკური ზრდა და ეკოლოგიური მდგრადობა. ამ მიზნების მიღწევა ხორციელდება „მწვანე“ ეკონომიკისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობით და ადგილობრივ დონეზე წყალმომარაგებისა და ენერგეტიკული სფეროს ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების გზით.

2017 წელს საქართველომ გააგრძელა რეგიონული განვითარების პროგრამის განხორციელება. ამ პროგრამის პირველი პრიორიტეტი არის ფიზიკური ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და გარემოს დაცვა. პროგრამა ხაზს უსვამს ისეთი ძირითადი მომსახურების მიწოდების გაუმჯობესებას, როგორიცაა სასმელი წყლის მიწოდება და საკანალიზაციო სისტემების გამართული ფუნქციონირება სოფლად და, ასევე, გამწმენდი ნაგებობების ნაკლებობის პრობლემის დაძლევა მთელი ქვეყნის მასშტაბით. მყარი ნარჩენების მართვა ასევე ფიგურირებს მყარი ნარჩენების სახელმწიფო სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში (2016-2020), რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის მიერ. სამოქმედო გეგმა მოიცავს კონკრეტულ მიზნებს, რომელთა მიღწევის შედეგი იქნება ჰარმონიზაცია ევროპის მყარი ნარჩენების მართვის პოლიტიკასთან.

მთავრობის ენერგეტიკული პოლიტიკის მიზანია ენერგეტიკული უსაფრთხოების მიღწევა წყაროების დივერსიფიცირების გზით, ადეკვატური მოცულობის, ხარისხისა და ფასის გათვალისწინებით. საქართველოს ენერგოპოლიტიკა ყურადღებას ამახვილებს ენერგეტიკის ბაზრის განვითარებასა და ენერგოვაჭრობის მექანიზმების გაუმჯობესებაზე; ყველა დასახლებისთვის ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდებაზე (ამის განხორციელების ტექნიკური და ეკონომიკური შესაძლებლობების გათვალისწინებით); მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე და მომხმარებლების ინტერესების დაცვაზე (მათ შორის, ინდივიდუალური ელექტრომრიცხველების საშუალებით); გადამცემი/გამანაწილებელი სისტემების მშენებლობაზე, რესტავრაციასა და მოდერნიზაციაზე.

საქართველოს სწრაფვა გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული შედეგების შერბილებისკენ განსაკუთრებით ცხადად იკვეთება ბიომრავალფეროვნების ეროვნულ სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში (NBSAP) (2014-2020) და ეროვნულ დონეზე განსაზღვრულ კონტრიბუციაში (INDC), რომელიც 2017 წლის 8 მარტს წარედგინა კლიმატის ცვლილების შესახებ გაეროს ჩარჩო კონვენციას (UNFCCC). საქართველო ვალდებულებას იღებს, რომ 2030 წლისთვის აუცილებლად შეამცირებს სასათბურე გაზების გამოყოფას 15%-ით ბიზნესის წარმოების ჩვეულებრივ რეჟიმზე (BAU) დაბლა და მოიცავს შემდეგ სექტორებს: ენერგეტიკა, ინდუსტრიული პროცესები, სოფლის მეურნეობა და მყარი ნარჩენების მართვა[23].

**საგარეო დახმარება:**

